ოქმი:**ო63. 6324101001**
თარიღი:**10/04/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომის

ო ქ მ ი N2

ქ.სამტრედია 4 აპრილი. 2024 წელი.

მიმდინარე წლის 4 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის თავმჯდომარეობით ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ტარიელ დვალიშვილი, ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ვალერიანე ფოცხვერია, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, ბექა თევზაძე, გოჩა არველაძე, ლიზა კრავეიშვილი, ირაკლი მელაშვილი,ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, დავით ჯანელიძე, გიორგი ლეჟავა, ჯონი თევზაძე, გიორგი გაგუა.

დღის წესრიგი:

1. საკრებულოს წევრების მოქალაქეებთან შეხვედრის, შეხვედრაზე გამოთქმული წინადადებების ანალიზისა და შემდგომი რეაგირების შესახებ.

/მომხსენებელი: ტარიელ დვალიშვილი/

2. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარის წინადადებით, ფრაქციის წევრებმა (19 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრთა (19 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ტარიელ დვალიშვილმა, ფრაქციის წევრებს გააცნო საკრებულოს წევრების მოქალაქეებთან შეხვედრის, შეხვედრაზე გამოთქმული წინადადებების ანალიზი.

<u>ტარიელ დვალიშვილი</u> - მოგახსენებთ, რომ საკრებულოს წევრები არჩეული ვართ ხალხის მიერ. ამის შეხსენება ჩვენ არ გვჭირდება. ამიტომ ჩვენი პირდაპირი

მოვალეობა არის ხალხთან ახლოს ყოფნა და მათი პრობლემების მოსმენა.

დღევანდელი ფრაქციის სხდომის დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარესთან, მაჟორიტარ დეპუტატებთან, მერის წარმომადგენლებთან და რამდენიმე ჩემს კოლეგასთან ერთად შევხვდით ტოლების, ვაზისუბნის, საჯავახოს, მელაურის, ნაბაკევის, ოფეთის და დიდი ჯიხაიშის ადგილობრივ მოსახლეობას.მოვისმინეთ მათი წინადადებები. სამწუხაროდ, მთავარი პრობლემა არის უმუშევრობა. ასევე კვლავ დიდი პრობლემაა ყველგან სანიაღვრე არხები.

მოსახლეობას არც სამადლობელი სიტყვების თქმა დავიწყებია ადგილობრივი ხელისუფლების მისამართით. ისინი ხედავენ ხელისუფლების მხარდაჭერას. თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრია და აქვთ ხვალინდელი დღის იმედი.

ჩვენ ასევე ვაკვირდებოდით ინფრასტრუქტურის სამუშაოების მიმდინარეობას.ესენია : ნაბაკევის საჯარო სკოლის მშნებელობა, წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის ტაძრის მიმდებარე მდინარე ლოღობაზე ნაპირ-სამაგრის სამუშაოები.ასევე მოვინახულეთ კულაშის საჭიდაო დარბაზი და მის ეზოში შესრულებული სამუშაოები, საფეხბურთო მოედანი, სავარჯიშო ტრენაჟორები,დაგეგმილია კალათბურთის მოედნის მოწყობა.

2024 წელი გამოწვევების წელია. ჩემი თხოვნაა თითოეულმა თქვენგანმა არსებული პრობლემების შესახებ ისაუბროთ, რომ შემდეგ შესაძლებლობის ფარგლებში მოვახდინოთ რეაგირება.

ჯონი ახობაძე - მოქალაქეები თავისი უბნის მოთხოვნას ძირითად აფიქსირებს მერიის კანცელარიაში და შემდგომ შეძლებისდაგვარად ხდება მათი დაკმაყოფილება.კარგი იქნება თუ ჩვენთანაც მოხდება ინფორმაციის მოწოდება, რამდენად მოხდა ამა თუ იმ პრობლემის მოგვარება.

ბადრი შენგელია - ჩემი თხოვნა ისევ და ისევ ეხება ღანირის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჭაგნის მიმართულებით არსებულ აუზებთან მისასვლელი გზის (0,5კმ) კეთილმოწყობას.(გზის ორივე მხარეს არხის გაყვანა).

გოჩა არველაძე - როგორც ღანირი-კულაშის თემის მაჟორიტარი მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული გზის მოხრეშვა - მოწესრიგება და არხების გაყვანაც იგეგმება.

დავით ჯანელიძე - ჩემს სამაჟორიტაროში ისევ პრობლემას წარმოადგენს აღმაშენებლის ქუჩის ტროტუარის მოწყობა. სანიაღვრე არხებია მოსაწესრიგებელი თითქმის ყველა ქუჩაზე.(ლაღიძის, ორბელიანის, ცაბაძის, გალაქტიონის და ა.შ.)

გრიგოლ ჩიგოგიძე - მოსაწესრიგებელია გორმაღლის ცენტრალური გზა.

ლელა ჩორგოლაშვილი - მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია გამსახურდიას ქუჩის მოსახლეობის პრობლემის შესახებ. საბოსტნე ნაკვეთების უკან მდებარე არხები ფუნქციონირებდა. მას შემდეგ, რაც თევზაძის ქუჩაზე გაკეთდა სათბურები, მოხდა არხის გადაკეტვა და საბოსტნე ნაკვეთები იტბორება.მოსახლეობა განცხადებითაც შემოვიდა, რომ ეს საკითხი მოგვარდეს ან გაიჭრას ალტერნატიული არხი.

ჯონი თევზაძე - ჩემს სამაჟორიტაროშიც სანიაღვრე არხების პრობლემაა. ასევე მდინარე კაპიტონი საჭიროებს გაწმენდას.

ვალერიანე ფოცხვერია - მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხები და წყლის პრობლემა გაღმა ზონაში. მე ვფიქრობ ყველაზე დიდი აქცენტი უნდა გაკეთდეს ამ

საკითხებზე.

ვაჟა სტურუა - ყველა სოფლის ადმინისტრაციულ ცენტრამდე უნდა იყოს მისასვლელი გზა.

ტარიელ დვალიშვილი - ჩემი თხოვნაა ყველამ გამოკვეთეთ თქვენი უბნის პრიორიტეტები და უახლოეს მომავალში წარმოუდგინეთ ფრაქციას წერილობით,რათა გახნილვის შემდეგ მიეცეს მსვლელობა.

ფრაქციის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად ფრაქცია ,,ქართული ოცნება"_ს წევრებმა მოისმინეს მათ სამაჟორიტარო უბნებში სხვადასხვა პრობლემების შესახებ.

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

ტარიელ დვალიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი